„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე ბელია

აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 8,12,16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 02.03.- 06.03.2022 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
ტურნირში ფიდე-ს რეიტინგის დათვლა განისაზღვრება მონაწილეთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები აჭარის ყველა რაიონიდან, **დაბადებულნი 2014, 2010 და 2006 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**
სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 30 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.
თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:
https://forms.gle/x1kHQkqsn9Ntcjuq7
ასევე, უნდა გადმოაგზავნონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2022 წლის საწევროს გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი **ელ. ფოსტაზე** - info@acf.ge 2022 წლის 2 მარტის 18.00 საათამდე:

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2022 წლის 1 მარტი, 18.00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2022 წლის საწევროს (24 ლარი) შეტანა შემდეგ ანგარიშზე საიდ. კოდი: 245424704 ს.ს.'' საქართველოს ბანკი'', მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG0000000363099200

ტურნირის განრიგი:

ჩამოსვლის დღე	02 მარტი	
I ტური	03 მარტი	12:00 სთ.
II ტური	03 მარტი	14:00 სთ.
III ტური	04 მარტი	12:00 სთ.
IV ტური	04 მარტი	14:00 სთ.
V ტური	05 მარტი	12:00 სთ.
VI ტური	05 მარტი	14:00 სთ.
VII ტური	06 მარტი	12:00 სთ.
დახურვა	06 მარტი	14:30 სთ.

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 15 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები, აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით, ხოლო აჭარის 8,12,16 წლამდე ასაკის ჩემპიონი ჭაბუკი და გოგონა დაჯილდოვდება აგრეთვე თასით და მივლინებული იქნება ქ. თბილისში შესაბამისი ასაკის 2022 წლის საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

კოვიდ 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.
პანდემიური ვითარების შესაბამისად ორგანიზატორმა შეიძლება მოითხოვოს ''კოვიდ 19-ის'' ინფექციაზე ჩატარებული ანტიგენზე დამყარებული სწრაფი ტესის პასუხი, რის შესახებ მონაწილეებს ეცნობებათ დამატებით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია

მთავარი მსაჯი: ფიდეს არბიტრი ლეონიდ ნეურონოვი